

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრის  
ოქმი: 22

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრა გაიმართა ონლაინ რეჟიმში ზუმ პლატფორმის მეშვეობით 2021 წლის 18 ივნისს, 15:00 სთ–ზე.

**ამოცანები:**

- გლობალური ფონდის კოვიდ-19 ეპიდემიაზე პასუხის მექანიზმის ფარგლებში განსაზღვრული აივ/შიდსი და ტბ პრიორიტეტული აქტივობების წარდგენა და განხილვა
- საერთაშორისო ფონდ კურაციოს მიერ განაცხადისთვის მოწოდებული ორი პოტენციური კვლევის წარდგენა და განხილვა: (1) კოვიდ-19-ის გავლენა ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების გამოვლენაზე, მკურნალობაზე დამყოლობასა და გამოსავლებზე; (2) კოვიდ-19-ის გავლენა აივ მკურნალობის კასკადზე და ჯანდაცვის სისტემის პასუხზე და ადაპტაციაზე

**ესწრებოდნენ:**

<i>მზია ტაბატაძე</i>	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
<i>ირმა ხონელიძე</i>	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გენერალური დირექტორის მოადგილე, პასკ-ის წევრი
<i>ქეთევან სტვილია</i>	გლობალური ფონდის აივ პროგრამის მენეჯერი
<i>მაია უჩანეიშვილი</i>	საერთაშორისო ფონდი კურაციო
<i>ალექსანდრე ასათიანი</i>	გლობალური ფონდის აივ პროგრამის მენეჯერი მ&შ სპეციალისტი
<i>ნინო მამულაშვილი</i>	პროგრამის კოორდინატორი, საქართველოს ჯანმო-ს ოფისი, პასკ-ის წევრი
<i>მარინე გოგია</i>	ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი, პასკ-ის წევრი
<i>ბექა გაბადაძე</i>	თემიდა, პასკ-ის წევრი
<i>ტონი სარასფატი</i>	თემიდა, პასკ-ის წევრი
<i>ოთარი ჯიჯეიშვილი</i>	ფენიქსი-2009, პასკ-ის წევრი
<i>ნინო წერეთელი</i>	თანადგომა, პასკ-ის წევრი
<i>მარიამ ჯიბუტი</i>	ახალი ვექტორი
<i>დავით ალხაზაშვილი</i>	პაციენტთა კავშირი, პასკ-ის წევრი
<i>დალი უშარიძე</i>	ახალი გზა, პასკ-ის წევრი

ნანა ნაბახტეველი	LFA
ირინა გრძელიძე	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი
ნათია ხონელიძე	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ადმინისტრაციული ასისტენტი
თამარ ზურაშვილი	პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი

შეხვედრა გახსნა პოლიტიკის და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტმა, **ქ-ნმა თამარ ზურაშვილმა**, რომელიც მიესალმა დამსწრეებს და გააცნო შეხვედრის მიზანი. მან აღნიშნა, რომ გლობალური ფონდის კოვიდ-19 ეპიდემიაზე პასუხის მექანიზმის ფარგლებში მომზადებულ განაცხადზე, რომელიც წარდგენილი და განხილული იყო კომიტეტის წინა შეხვედრაზე, მიღებული იქნა მნიშვნელოვანი კომენტარები, მოხდა მათი გათვალისწინება და განაცხადში შესაბამისად ასახვა. განაცხადში შესული ცვლილებების წარსადგენად მან სიტყვა გადასცა **ქ-ნ ქეთევან სტვილიას**.

**ქ-ნმა ქეთი სტვილიამ** მადლობა გადაუხადა კომიტეტის წევრებს, საერთაშორისო სააგენტოების, გლობალური ფონდის წარმომადგენლებს განაცხადის პირველი ვერსიის გადახედვისა და მოწოდებული მნიშვნელოვანი კომენტარებისთვის. ყველა კომენტარი მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებულ განახლებულ განაცხადში. მან ასევე აღნიშნა, რომ მოხდა განაცხადის წარდგენის ვადის გადაწევა და წარდგენა მოხდება 2021 წლის 30 ივნისს. ქ-ნმა ქეთევანმა აღნიშნა, რომ კოვიდ-19 ეპიდემიაზე პასუხის მექანიზმის ძირითად კატეგორიებში ცვლილება არ შესულა. ცვლილება შევიდა განაცხადის დაფარვის ვადაში: თუ წინა ვერსიაში ვადა იყო 2023 წლის ბოლომდე, ახლა არის 2023 წლის პირველი 6 თვის ჩათვლით. განაცხადის ვადასთან დაკავშირებით გლობალური ფონდის რეკომენდაცია იყო მისი დასრულება 2022 წლის ბოლოსთვის. ამ პერიოდისთვის დასრულებული იქნება განაცხადის ძირითადი აქტივობები, ხოლო ვინაიდან შეკვეთებისთვის საერთაშორისო შესყიდვების მექანიზმების გამოყენება ხშირად დაკავშირებულია მოწოდების გახანგრძლივებულ ვადებთან, 2023 წლის 6 თვე გამოყენებული იქნება შეკვეთების მოწოდებისთვის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გარკვეული მარაგების ქონას 2023 წლისთვისაც. შემდეგ ქ-ნმა ქეთიმ წარმოადგინა ალოკაციის ფარგლებში დაგეგმილი სამედიცინო აპარატურის, რეაგენტების და სახარჯი მასალების შესყიდვა ინტერვენციების მიხედვით (სულ 5 ინტერვენცია: (1) კოვიდ-19 შემთხვევების კლინიკური მართვა, (2) კოვიდ-19 შემთხვევების დიაგნოსტიკა, (3) ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, (4) ლაბორატორიული სისტემების გაძლიერება, (5) სამედიცინო მასალებისა და ნარჩენების მართვა). ალოკაციის ფარგლებში ინტერვენციაზე - კოვიდ-19 ეპიდემიადამხედველობის გაძლიერება, თანხის მოთხოვნა აღარ ხდება. მან აღნიშნა, რომ თითოეული ინტერვენციისთვის რაოდენობრივად მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, ძირითადად მოხდა ფასების დაზუსტება და განახლებული ბიუჯეტი აღნიშნული ნაწილისთვის შეადგენს 1,958,014 აშშ დოლარს. შემდეგ მან წარმოადგინა იგივე ინტერვენციებისთვის ალოკაციის და ალოკაციის ზემოთ ფარგლებში მოთხოვნილი საერთო ბიუჯეტები.

მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნება მხოლოდ დიაგნოსტიკის ნაწილში სწრაფი ტესტების ხარჯზე (მოთხოვნა შეადგენს 2,700,000 აშშ დოლარს, ასევე ალოკაციის ზემოთ ფარგლებში ხვდება ეპიდზედამხედველობის გაძლიერების ინტერვენცია. ჯამურად საერთო თანხა წარმოადგენს 6,013,500 აშშ დოლარს. გლობალური ფონდის რეკომენდაციის შესაბამისად, მოთხოვნილი თანხა აღემატება ალოკაციის საერთო ოდენობას. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით **ქ-ნმა ირმა ხონელიძემ** აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ქვეყნის მიერ წარდგენილი განაცხადების განხილვის შემდეგ არ მოხდება გარკვეული მათგანის სრულად დაკმაყოფილება და გაჩნდება თავისუფალი რესურსები, შესაძლებელი იქნება სხვა ქვეყნებისთვის მათ მიერ დაფიქსირებული დამატებითი საჭიროებების დაკმაყოფილება. შემდეგ **ქ-ნმა ქეთევან სტვილიამ** წარმოადგინა განაცხადის სერვისების ნაწილი. მან კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა ქ-ნ მაკა გოგიას და ქ-ნ თამარ ზურაშვილს ამ სერვისებთან დაკავშირებით თემთან წარმოებული დიალოგისა და დეტალური აქტივობების მოწოდებისთვის. ეს აქტივობები ასახული იქნა განაცხადში, წარედგინა გლობალურ ფონდს და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდა შესაბამისი ცვლილებების შეტანა (ძირითადად მოხდა როგორც ტექნიკური ნაწილების დაზუსტება, ისე ბიუჯეტების მცირედით ცვლილება). ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ეს აქტივობები გამიზნული უნდა იყოს სასწრაფო, გადაუდებელი საჭიროებების მართვის დასახმარებლად. აქტივობები, რომლებიც გათვალისწინებული იყო 2020 წლის გრანტის ფარგლებში და მათი გაგრძელება მოხდება 2021-2022 წლის ალოკაციის ფარგლებში შემდეგია: (1) აივ თვითტესტირების პლატფორმის მხარდაჭერა - მნიშვნელოვანი ცვლილებები ამ ნაწილში არ მომხდარა. აღსანიშნავია, რომ გლობალური ფონდი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ტესტირების ალტერნატიული მოდელების განვითარებაზე, გამომდინარე იქიდან, რომ კოვიდის პირობებში იკლო ტესტირებით მოცვამ; (2) ტელეკლინიკის მხარდაჭერა - ეს მიმართულებაც უცვლელი რჩება, მოიცავს თვეში 100 ბენეფიციარის მომსახურებას და მოხდება მოდელის უფრო მეტად დახვეწა; (3) კომპიუტერული მხარდაჭერა ონლაინ/დისტანციური საქმიანობისთვის - ეს მიმართულებაც უცვლელი რჩება; (4) სოციალური მხარდაჭერა - ამ მიმართულებაში გვაქვს ცვლილება, რომელიც ეხება ძირითადად ბენეფიციართა რაოდენობის (თვის განმავლობაში იქნება დაახლოებით 100 ბენეფიციარი) და შესაბამისად ბიუჯეტის შემცირებას. გლობალური ფონდის რეკომენდაციის თანახმად, მოხდება მხოლოდ ძალიან კრიტიკული საჭიროებების დაკმაყოფილება. მოხდება ჩართვის კრიტერიუმების გადახედვა. გამოყენებული იქნება ინდივიდუალური მიდგომა შემთხვევის მართვის პრინციპით; (5) არვ მედიკამენტების ფოსტით დარიგება.

არვ მედიკამენტების ფოსტით დარიგებასთან დაკავშირებით **ქ-ნმა მზიამ ტაბატაძემ** იკითხა, რამდენად დაცულია ამ დროს ტემპერატურული რეჟიმი და ხომ არ არის ამ მხრივ რაიმე პრობლემები (განსაკუთრებით ზაფხულის სეზონზე).

**ქ-ნმა ქეთი სტვილიამ** უპასუხა, რომ ეს მედიკამენტები, რომელიც ამჟამად ფოსტით იგზავნება, არც ერთი არ არის ბავშვის ფორმულა და შესაბამისად შენახვის რაიმე განსაკუთრებული პირობები არ აქვს. გარდა ამისა, ტრანსპორტირების ვადა არ არის დიდი. ასევე აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრაქტიკა აპრობირებულია სხვა, საქართველოზე უფრო მეტად ცხელ ქვეყნებში. ქ-ნმა

ქეთიმ დიდი მადლობა გადაუხადა ქ-ნ მზიას ამ კომენტარისთვის და აღნიშნა, რომ დამატებით კიდევ განიხილავენ ამ საკითხის შიდასის ცენტრთან ერთად და საჭიროების შემთხვევაში მოახდენენ ტრანსპორტირების პირობების ადაპტირებას.

შემდეგ **ქ-ნმა ქეთევანმა** გააგრძელა იმ ინტერვენციების წარმოდგენა, რომელიც ახალია განაცხადისთვის (არ იყო გათვალისწინებული 2020-ის წლის განაცხადში): (1) ტექნიკური მხარდაჭერა SARS-CoV-2 სექვენირების საფუძველზე ეპიდზედამხედველობის სტრატეგიის ჩამოყალიბების მიზნით; (2) სამედიცინო პერსონალის ტრენინგი COVID-19-ის და მისი შემდგომი სინდრომის მართვის საკითხებზე - ამ მიმართულებაში არაფერი შეცვლილა; (3) საინფორმაციო კამპანია და ადვოკატირება - ასევე უცვლელი რჩება; (4) COVID-19-ის შემთხვევების გამოვლენა სათემო ორგანიზაციების ბაზაზე - უნდა აისახოს COVID-19-ის ტესტირების ეროვნულ პროტოკოლში და დაინერგოს შესაბამისი ტრენინგის გავლის შემდეგ; (5) თემის წარმომადგენელთა უფლებებსა და გენდერულ საკითხებზე COVID-19 ზეგავლენის კვლევა და ტრენინგები - ასევე უცვლელად შენარჩუნებულია; (6) გენდერული ძალადობის შემთხვევების პრევენცია და მართვა, კრიზის ცენტრის შექმნა და მხარდაჭერა - შენარჩუნებულია და გლობალურ ფონდთან დაზუსტებულია ბიუჯეტი; (7) აუთრიჩ სერვისების მხარდაჭერა, სკუტერების შესყიდვა - ასევე უცვლელად შენარჩუნებულია. ტუბერკულოზის ნაწილში გვაქვს ორი ახალი ინტერვენცია: (1) ორმხრივი სკრინინგი ტუბერკულოზისა და კოვიდ ინფექციაზე, ტუბერკულოზის დროული გამოვლენის უზრუნველსაყოფად, გამომდინარე იქიდან, რომ გამოვლენაში აღინიშნება გარკვეული ჩამორჩენა. მოხდება რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტების ორმხრივი სკრინინგი კომპიუტერული პროგრამის (CAD-ის) გამოყენებით (ეს არის ერთგვარი სოფტი, რომლის გამოყენებითაც შეიძლება მოხდეს როგორც ტუბერკულოზის ისე კოვიდის დეტექცია, იგი სპეციფიკურად აღიქვამს ორივე დაავადებისთვის დამახასიათებელ რენტგენოლოგიურ სურათს და იძლევა დიაგნოზის დასმის საშუალებას). ბი-დირექციული სკრინინგის განხორციელებაში მოხდება FAST სტრატეგიის განხორციელებაში ჩართული დაწესებულებების ჩართვა; (2) საეკლესიო თემში/მონასტრებში კოვიდ და ტუბერკულოზის შემთხვევების აქტიური გამოვლენა ადგილებზე სკრინინგის პროგრამის ფარგლებში.

**ქ-ნმა თამარ ზურაშვილმა** მადლობა გადაუხადა ქ-ნ ქეთევანს განაცხადში შეტანილი ცვლილებების მოხსენებისთვის და სიტყვა გადასცა **ქ-ნ მაია უჩანეიშვილს** განაცხადისთვის მოწოდებული ორი პოტენციური კვლევის წარმოსადგენად.

მოხსენების დასაწყისში **ქ-ნმა მაია უჩანეიშვილმა** ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ როგორც გლობალურად, ისე ადგილობრივად პანდემიის პერიოდში აღინიშნება აივ-ისა და ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების გამოვლენის პრობლემა. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია პანდემიის გავლენის შესწავლა შესაბამისი კვლევის ჩატარებით, რათა შეფასდეს კოვიდ-19-ის გავლენა ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების გამოვლენაზე, ასევე მკურნალობაზე დამყოლობასა და გამოსავლებზე; ასევე, რამდენად ახერხებს ჯანდაცვის სისტემა, გადაეწყოს ახალ საჭიროებებზე. შემდეგ მან ისაუბრა აღნიშნული საკითხის შესწავლის

მნიშვნელობაზე: 2020 წელს ჩატარებული ერთ-ერთი მოდელირების კვლევის მიხედვით კოვიდ-19-ით გამოწვეული შეზღუდვები გლობალურად გამოიწვევს დამატებით 6.3 მილიონ ახალ ტუბერკულოზის შემთხვევას და დამატებით 1.4 მილიონ ტუბერკულოზით გამოწვეულ გარდაცვალებას 2020-2025 წლებში. ქ-ნმა მაიამ აღნიშნა, რომ სერვისის მიმწოდებლებთან ჩატარებული ადგილობრივი კონსულტაციების საფუძველზეც ვლინდება პრობლემები მიმართვიანობას, მკურნალობაზე დამყოლობასა და მკურნალობის გამოსავლებში, რაც საჭიროებს შესწავლასა და შესაბამის ადაპტირებას. საერთაშორისო ფონდ კურაციოს მიერ შემოთავაზებულმა კვლევამ უნდა შეაფასოს შემდეგი საკითხები: რა გავლენა აქვს ტუბერკულოზის პროგრამაზე კოვიდ-19-თან დაკავშირებულ შეზღუდვებს?; რა გავლენა აქვს შეზღუდვებს ახალი შემთხვევების გამოვლენაზე და მკურნალობაში ჩართვაზე?; რა გავლენა და პოტენციური ბარიერებია მკურნალობის დამყოლობის კუთხით?; როგორც იმოქმედა კოვიდ-19-ის შეზღუდვებმა მკურნალობის გამოსავლებზე?; რა პოტენციური როლი შეიძლება ჰქონდეს სათემო ორგანიზაციებს გამოვლენის და დამყოლობის გაუმჯობესებაში? და რა უნდა გააკეთოს ტუბერკულოზის პროგრამამ, რომ შემცირდეს კოვიდ-19-ის გავლენა ტუბერკულოზის პრევენციისა და მკურნალობის სერვისებზე? შემდეგ ქ-ნმა მაიამ ისაუბრა მეორე პოტენციურ კვლევაზე, აივ-ის მიმართულებით. მან აქაც წარმოადგინა კვლევის დასაბუთება: გლობალურად პანდემიის გამო აივ ინფიცირებულთა 25%-მა გარკვეული პერიოდულობით, ზოგმა კი საერთოდ შეწყვიტა მკურნალობა, ხოლო დამატებით პაციენტების 10%-ში, რომლებიც იმყოფებოდნენ არც მკურნალობაზე, არ მოხდა ვირუსული სუპრესია ვირუსული დატვირთვის ტესტების არარსებობის ან არასაკმარისი სიხშირით ჩატარების გამო. შესაბამისად პანდემიას შესაძლოა ქონდეს გავლენა აივ-ის კასკადზე და მნიშვნელოვანია ამ გავლენის შესწავლა. აქაც შემოთავაზებულია იგივე ტიპის კვლევა, რომელიც შეისწავლის კოვიდ-19-ის გავლენას აივ-ის პრევენციის, გამოვლენის, მკურნალობაში ჩართვის, მკურნალობაზე დამყოლობის და ზოგადად სისტემის ადაპტირების საკითხებზე.

**ქ-ნმა ქეთევან სტილიამ** აღნიშნა, რომ ორივე კვლევა ძალიან საინტერესოა, ამასთანავე სპეციფიკურია და მიზნულია კლინიკურ სერვისებზე. შესაბამისად მან იკითხა, იყო თუ არა წინასწარი კომუნიკაცია შიდსისა და ტუბერკულოზის ცენტრის წარმომადგენლებთან ამასთან დაკავშირებით, ვინაიდან კვლევის განხორციელებისთვის მათი თანხმობა მონაცემთა გაზიარების კუთხით იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, გამომდინარე იქიდან, რომ დაავადებათა კონტროლის ცენტრს ამ მონაცემებზე/ინფორმაციაზე ხელი არ მიუწვდება.

**ქ-ნმა მაიამ** უპასუხა, რომ ამ პოტენციური კვლევების ფარგლებში ინფორმაციაზე წვდომასთან დაკავშირებით წინასწარი კონსულტაცია ჯერ არ ჩატარებულა. საკითხის აქტუალობაზე ტუბერკულოზის ცენტრთან იყო კომუნიკაცია სხვა პროექტების ფარგლებში და მათი მხრიდან გამოითქვა ინტერესიც და მზაობაც. შიდსის ცენტრთან კონსულტაცია ჯერ არ ჩატარებულა. ქ-ნმა მაიამ დიდი მადლობა გადაუხადა ქ-ნ ქეთევანს კომენტარისთვის და აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში, მონაცემთა გაზიარებასთან დაკავშირებით აუცილებლად ჩატარდება კონსულტაციები ამ ორ დაწესებულებასთან.

**ქ-ნმა ირმა ხონელიძე** დიდი მადლობა გადაუხადა ქ-ნ მაია უჩანეიშვილს შემოთავაზებული კვლევებისთვის და აღნიშნა, რომ სასურველია კვლევისას შეფასდეს იმ ახალი მიდგომების გავლენაც, რაც 2020 წლიდან კეთდება და გაკეთდა შემამსუბუქებელი ღონისძიებების ფარგლებში და გაიწეროს შესაბამისი რეკომენდაციები შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

**ქ-ნმა ნინო მამულაშვილმა** დასვა შეკითხვა კვლევის ჩატარებისა და შედეგების სავარაუდო ვადებთან დაკავშირებით.

**ქ-ნმა მაია უჩანეიშვილმა** უპასუხა, რომ ეს არის ხარისხობრივი, მეორადი მონაცემების ანალიზის ტიპის კვლევა, დაწყების სავარაუდო დრო ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა კვლევის ჩატარებას სავარაუდოდ დასჭირდება საშუალოდ 4-6 თვე.

**ქ-ნმა ირმა ხონელიძე** კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა ქ-ნ ნინო მამულაშვილს განაცხადთან დაკავშირებით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული მნიშვნელოვანი და სასარგებლო კომენტარებისთვის. მათი გათვალისწინება შესაბამისად მოხდა როგორც ლაბორატორიის, პერსონალურ დაცვის საშუალებების, ხარისხის, ასევე სპეციფიკაციების ნაწილში. მან ასევე აღნიშნა, რომ ტუბერკულოზის ნაწილში განაცხადის პირველ სამუშაო ვერსიაში ინტერვენციების შედარებით სიმწირე აღინიშნებოდა. როგორც მთელს მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც ყველაზე დრამატული პრობლემა არის შემთხვევების გამოვლენა, შესაბამისად დამატებულია ინტერვენციები გამოვლენის გაუმჯობესებისთვის. გლობალური ფონდის რეკომენდაციით შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად უნდა მოხდეს ინტერვენციების დაფარვა მიმდინარე გრანტების ფარგლებში (ბევრი მიმართულება, რომელიც შეეხება არასამთავრობო/სათემო ორგანიზაციების ჩართულობას, იფარება მიმდინარე გრანტის ფარგლებში), შესაბამისად კოვიდის განაცხადში რჩება აქტივობები, რომელიც სპეციფიკურად უფრო კოვიდის, ტუბერკულოზისა და აივ-ის შემთხვევების გამოვლენას ეხება. ქ-ნმა ირმამ ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ყველა მოწოდებული კომენტარი და ცვლილება შეთანხმებული იქნა კომიტეტის თავმჯდომარესთან, ქ-ნ თამარ გაბუნიასთან.

**ქ-ნმა მაკა გოგიამ** დასვა შეკითხვა კოვიდ-19 განაცხადის თაობაზე გლობალური ფონდის საბოლოო დასტურის ვადებთან დაკავშირებით.

**ქ-ნმა ქეთევან სტვილიამ** უპასუხა, რომ განხილვა სავარაუდოდ მოხდება მოკლე ვადაში და გრანტის დაწყების მოსალოდნელი პერიოდი არის 2021 წლის აგვისტო. მან ასევე გააცნო დამსწრეებს გამოვლენის გაუმჯობესებაზე მიმართული ერთ-ერთი ახალი, პილოტური ინტერვენცია, რომელიც იგეგმება კოვიდ-19 განაცხადის ფარგლებში - აფთიაქების ბაზაზე ზოგადი მოსახლეობის ტესტირება აივ-ზე და ჰეპატიტებზე (მოხდება ტესტების შესყიდვა, გადამზადდება პერსონალი და აფთიაქის ბაზაზე მოეწყობა კუთხე ტესტირებისთვის, იმპლემენტაციის სირთულეების შემთხვევაში ასევე განიხილება თვით-ტესტების გატანება). პილოტის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდება რეკომენდაციები მისი ფართოდ გამოყენების თაობაზე.

ქ-ნმა მაკა გოგიამ აღნიშნა, რომ რეგიონული S&S პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ფარმაცომპანიებთან და დიდ სააფთიაქო ქსელებთან შეხვედრა აივ-თვით ტესტებთან დაკავშირებით (რომ შეისყიდონ და გაყიდვაში იყოს ზოგადი მოსახლეობისთვის). გადაწყდა, მოხდეს კოორდინაცია ძირითად მიმღებთან ამ მიმართულებით.

ქ-ნ თამარ ზურაშვილმა შეაჯამა შეხვედრა და მადლობა გადაუხადა დამსწრებს მონაწილეობისათვის.

**შემდგომი ნაბიჯები:**

- განაცხადის საბოლოო სამუშაო ვერსია შესათანხმებლად გაზიარდება კომიტეტში
- კომიტეტის მხრიდან საბოლოო კომენტარების მოწოდების ვადად განისაზღვრა 23 ივნისი, სამუშაო დღის ბოლომდე.

**ოქმის შემდგენელი – თამარ ზურაშვილი**

პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი